European Training Foundation

ხარისხის უზრუნველყოფა საქართველოში პროფესიულ განათლებაში

ETF ფორუმის წევრი დაწესებულება: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2021 წლის მარტი

Quality Assurance Forum

ETF ფორუმი პროფესიულ განათლებასა და გადამზადებაში ხარისხის უზრუნველსაყოფად

THE EU AGENCY SUPPORTING COUNTRIES TO DEVELOP THROUGH LEARNING

წინამდებარე დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებლობა მხოლოდ ETF-ს ეკისრება და არ იგულისხმება, რომ მასში ასახულია ევროკავშირის ინსტიტუტების შეხედულებები.

© ევროპის განათლების ფონდი, 2021
ასლის დამზადება ნებადართულია, თუ წყარო მითითებულია.

სარჩევი

სარჩევი 4

1. შესავალი 5

1.1. ეროვნული კონტექსტი 5

1.2. სტატისტიკა 5

1.3. პროფესიული განათლების სისტემა 8

2. ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში 10

2.1. მიმოხილვა 10

2.2 ზოგადი ინფორმაცია პროფესიული განათლების სისტემის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ 10

2.3 ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიული განათლების წამყვან სფეროებში 11

3. ძლიერი მხარეები, მოვლენები და საჭიროებები 13

3.1. ახალი მოვლენები - მოქმედი/დამუშავების პროცესში 13

3.2. საჭიროებები და გამოწვევები 14

4. კარგი გამოცდილების მაგალითი 14

შემოკლებების სია 16

1. შესავალი

1.1.ეროვნული კონტექსტი

საქართველოს მოსახლეობა თითქმის 3,73 მილიონ ადამიანს შეადგენს, რაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში მილიონზე მეტით შემცირდა. ახალგაზრდა (15-24 წლის ასაკის) მოსახლეობის შედარებითი რაოდენობა 2013 წელს არსებული 20,8%-დან 2019 წელს 17,7%-მდე შემცირდა. შემცირება ორი ძირითადი ფაქტორით აიხსნება: ბუნებრივი ზრდის დაბალი ტემპი და ემიგრაცია.

ემიგრაცია მნიშვნელოვანი ფენომენია საქართველოში: საზღვარგარეთ მცხოვრები 746 000 ემიგრანტი ქვეყნის მოსახლეობის 16%-ს წარმოადგენს (2013 წლის მონაცემებით). ამავე წყაროს თანახმად, ემიგრანტთა 32%-ს აქვს ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული განათლება. საქართველოდან ემიგრირების ყველაზე შემაშფოთებელი ფაქტი ის არის, რომ ქვეყანას ძირითადად ახალგაზრდები ტოვებენ. ემიგრაცია ყველაზე მაღალია 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, რასაც მოჰყვება 30-34 წლის ასაკობრივი ჯგუფი და შემდეგ მოსდევს ახალგაზრდების (20-24 წლის ასაკობრივი) ჯგუფი.

საქართველო არის საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყანა, მზარდი მთლიანი შიდა პროდუქტით (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც 2012 წელს 8 000 აშშ დოლარიდან 2018 წელს 11 400 აშშ დოლარამდე გაიზარდა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოს მშპ-ს ზრდა მნიშვნელოვნად იცვლებოდა და 2011 წელს არსებული 7,2%-დან 2016 წელს მხოლოდ 2,7%-მდე შემცირდა. თუმცა, 2017 წელს გაჯანსაღების შემდეგ, 2019 წელს საქართველოს ეკონომიკამ განაგრძო წარმატებული განვითარება, ხოლო მშპ-ს ზრდამ 5,1% შეადგინა. 2019 წელს მშპ-ში ძირითადი წვლილი აქვს მომსახურებას (60,4%), შემდეგ წარმოებას (20,0%) და სოფლის მეურნეობას (6,2%). მომსახურება ასევე არის ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი, სადაც სასტუმრო და ფინანსურ მომსახურებებს წამყვანი ადგილი უკავიათ.

ევროკავშირის ბლოკი ამჟამად არის საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი, რომელიც 2018 წელს ქართული იმპორტის 28%-ს და ქართული ექსპორტის 22%-ს შეადგენდა[1].

1.2.სტატისტიკა

ცხრილი 1. მოსახლეობა

	მოსახლეობის სიდიდე	ახალგაზრდა მოსახლეობის შედარებითი სიდიდე (15-24; %)
2010	3 799 832	22,6
2015	3 716 911	20,2
2019	3 729 633	17,8

[1] ვენის საერთაშორისო ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტი (2019)

წყარო: ჯეოსტატი

ცხრილი 2. დასაქმება

	დასაქმების პროცენტი (15+; %)	ახალგაზრდების დასაქმების პროცენტი (15-24; %)
2010	52,3	23,1
2015	55,9	25,6
2019	55,8	28,3

წყარო: ჯეოსტატი

ცხრილი 3. აქტიური მოსახლეობის განათლების დონე (15+; %)

	დაბალი	საშუალო	მაღალი
2015	10,7	58,2	31,1
2017	11,8	57,6	30,5
2019	11,9	57,8	30,2

წყარო: ჯეოსტატი
დაბალი: ISCED (განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია) 0-2; საშუალო: ISCED (განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია) 3-4; მაღალი: ISCED (განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია) 5-8

ცხრილი 4. მონაწილეობა პროფესიულ განათლებაში (პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებში ჩართული სტუდენტების რაოდენობა, წარმოდგენილი საშუალო განათლების ბოლო საფეხურში მონაწილე სტუდენტების სრული რაოდენობის პროცენტული მაჩვენებლით (ISCED (განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის) მე-3 დონე)

	საშუალო განათლების ბოლო საფეხური (განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCED) 3) პროფესიულ განათლებაში
2013	14,6
2015	9
2019	8

წყარო: Unesco
შენიშვნა: გ.მ. - გამოტოვებული მონაცემები

ცხრილი 5. დანახარჯი ზოგად განათლებასა და პროფესიულ განათლებაში

ცხრილი 5	ხარჯი განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის (ISCED) მე-3 და მე-4 დონის სრულ განათლებაზე (პროფესიული საგანმანათლებლო გადამზადების ჩათვლით), წარმოდგენილი მშპ-ის %-ული მოცულობით	ხარჯი განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის (ISCED) მე-3 და მე-4 დონის პროფესიულ საგანმანათლებლო გადამზადებაზე, წარმოდგენილი მხოლოდ მშპ-ის %-ული მოცულობით

2010	2,9	არ შეესაბამება
2015	3,2	არ შეესაბამება
2018	3,8	არ შეესაბამება

ჯეოსტატი, გამოთვლები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით

1.3.პროფესიული განათლების სისტემა

ხელმძღვანელობა და მართვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (MoES) არის განათლების პოლიტიკის შემქმნელი მთავარი ორგანო. მთავრობა, მის დაქვემდებარებაში მყოფ უწყებებთან, სოციალურ პარტნიორებთან, ორი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან (აჭარა და აფხაზეთი) და საერთაშორისო პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ, შეიმუშავებს განვითარების ეროვნულ პოლიტიკას და სტრატეგიებს და სრულ პასუხისმგებლობას იღებს პროფესიული განათლების სფეროში მიზნების დასახვაზე. პროფესიული განათლების სისტემის მართვაში რამდენიმე დაწესებულება და ორგანო არის ჩართული. ესენია: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE), რომელიც პასუხისმგებელია განათლების ყველა საფეხურის ხარისხის უზრუნველყოფაზე; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ტრენერების სამუშაო ადგილზე შემდგომ გადამზადებას; და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (NAEC).

სოციალური პარტნიორები მონაწილეობენ დარგობრივ კომიტეტებში/უნარების განვითარების საბჭოებში, შესაბამისად, მონაწილეობას იღებენ უნარ-ჩვევების განვითარების საჭიროებების გამოხატვაში და პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში. ისინი ასევე არიან საჯარო პროფესიული განათლების მიმწოდებლების წარმომადგენლები საგანმანათლებლო დაწესებულების საბჭოებზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე, სოციალური პარტნიორები შედიან სამეთვალყურეო საბჭოებში.

მარეგულირებელი ჩარჩოები (მაგალითად: კანონმდებლობა, წესები, სტრატეგიული გეგმები)

ამ სექტორთან დაკავშირებული ძირითადი კანონმდებლობა არის ,,პროფესიული განათლების შესახებ'' კანონი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის სექტემბერში მიიღო. კანონი მიზნად ისახავს პროფესიული განათლების სისტემის ხარისხისა და მოქნილობის გაუმჯობესებას, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის კავშირის დამყარებას, პროფესიული განათლების სფეროში ზოგადი განათლების კომპონენტის დანერგვას და ზრდასრულთა განათლების სისტემის გაუმჯობესებას და განვითარებას. იგი აყალიბებს კანონიერ საფუძველს არაოფიციალური და არაფორმალური სწავლების დადასტურებისათვის და იძლევა პროფესიული სწავლების ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე ინტეგრირების შესაძლებლობას. კანონქვემდებარე აქტები შემუშავების პროცესშია.

ორი სხვა სამართლებრივი აქტი ქმნის პროფესიული განათლების სისტემის მარეგულირებელ ჩარჩოს და დაკავშირებულია ეროვნულ კვალიფიკაციეიბის ჩარჩოსთან (NQF). პირველი არის კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, რომელიც 2020 წლის სექტემბერში განახლდა ახალი ნაწილით, რომელიც ეძღვნება ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს. მეორე არის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10

აპრილის N69/ნ ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“.

2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია ადგენს სტრატეგიულ მიზნებს განათლების ყველა დონისთვის. პროფესიული განათლების სტრატეგიულ მიზნებში შედის: (1) პროფესიული განათლების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და სისტემის ინტერნაციონალიზაცია; (2) პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უწყვეტი სწავლის პრინციპზე დაყრდნობით; (3) პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მეტი მიმზიდველობა.

ძირითადი მიმწოდებელი დაწესებულებების სახეები[2]

2020 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დაინერგა 92 ავტორიზებული მიმწოდებლის მიერ (EMIS - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2020 წლის ივლისის მონაცემებით), რომელთაგან 67 იყო კერძო თუ საჯარო კოლეჯი, 18 უმაღლესი სასწავლებელი და 7 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა. ამ პროგრამებზე ჩაირიცხა 9 399 სტუდენტი, მაშინ, როცა 2013 წელს ირიცხებოდა 23 000–ზე მეტ სტუდენტი.

13 საგანმანათლებლო დაწესებულებაში 29 საგანმანათლებლო პროგრამა არსებობდა დუალური მიდგომით. 51 კერძო კომპანია იყო ჩართული იყო პროგრამის დუალურად განხორციელებაში.

ძირითადი მიდგომა/პროგრამის სახეები[3]

სწავლება ძირითადად მიმდინარეობს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

პროფესიულ განათლებაში დუალური სწავლება შემოღებულ იქნა გერმანულ–ქართული პროგრამით „კერძო სექტორის განვითარება და ტექნიკური პროფესიული განათლება და სწავლება კავკასიაში“ (PSD TVET). პროგრამა მიზნად ისახავს პროფესიული განათლების რეფორმას დუალური სწავლებისან სტაჟირების პროგრამების ელემენტების დანერგვით შრომის ბაზრის ისეთ სექტორებში, როგორიცაა მშენებლობა, ტურიზმი, მევენახეობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT), ტრანსპორტი და ლოგისტიკა.

ამჟამად, 50-ზე მეტი კომპანიაა ჩართულია სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში და თითქმის ყველა საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ნერგავს პროგრამებს დუალური მიდგომით.

---

[2] მაგალითები: საჯარო ან კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება (მაგ., კოლეჯი) ან კომპანია (მაგ., მანქანის მწარმოებელი)

[3] მაგალითები: კოლეჯის ბაზაზე განხორციელებული, რომელსაც გააჩნია სახელოსნოები უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის; კოლეჯში განხორციელებული რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკის კომპონენტით; დუალურად განხორციელებული.

ძირითადი კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის (ISCED) დონეების მიხედვით

საქართველოში პროფესიული განათლების სისტემა უზრუნველყოფს შემდეგ ტიპურ კვალიფიკაციებს:

1. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის საფუძველზე მინიჭებული კვალიფიკაცია შეესაბამება ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) მე–3 დონეს (განათლების საერთაშორისო სტანდარტულის კლასიფიკაციის (ISCED) მე-3 დონე)
2. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის საფუძველზე მინიჭებული კვალიფიკაცია შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) მე–4 დონეს (განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის (ISCED) მე-4 დონე)
3. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის საფუძველზე მინიჭებული კვალიფიკაცია შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) მე–5 დონეს (განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის მე-5 დონე)
4. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის საფუძველზეც გაიცემა ასოცირებული ხარისხი და შეესაბამება ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) მე–5 დონეს (განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის (ISCED) მე-5დონე)

2. ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში

2.1.მიმოხილვა

ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო მოიცავს კვალიფიკაციის შემუშავებისა და დამტკიცების მექანიზმებს - პროფესიულ და საგანმანათლებლო სტანდარტებს და პროცედურებს - და მიწოდების ხარისხის უზრუნველსაყოფის გზებს - მომწოდებლების ავტორიზაციას.

2.2 ზოგადი ინფორმაცია პროფესიული განათლების სისტემის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფაზე განათლების ყველა საფეხურზე და საგანმანათლებლო დაწესებულებებს მათზე ავტორიზაციის მინიჭებით ანიჭებს პროგრამების განხორციელების უფლებას. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ფარგლებში ფუნქციონირებს 12 დარგობრივი საბჭო, რომელთა ფუნქციაა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ვალიდაცია.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“. ამ კანონის თანახმად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აღიარებულია, როგორც ერთადერთი ეროვნული ორგანო,

რომელიც უფლებამოსილია იმოქმედოს როგორც განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და გაძლიერების გარე მექანიზმმა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი მიზნებია ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის ამაღლებას და ხარისხის კულტურის განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების შემუშავებით და დანერგვით და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარების ხელშეწყობით.

2.3 ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიული განათლების წამყვან სფეროებში

მტკიცებულება - სტატისტიკა და კვლევა და განვითარება

ბევრი ორგანო არის ჩართული მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირი, პასუხისმგებელია მთლიანი განათლების სისტემის შესახებ მონაცემებისა და მტკიცებულებების შეგროვებაზე. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (NAEC), რომელიც მოქმედებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (MESCS) ეგიდით, ახორციელებს განათლების სისტემის შესახებ შეფასებებს და კვლევებს და ატარებს PISA–ს კვლევას საქართველოში.

გარდა ამისა, შრომის ბაზარზე პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ მონაცემების შეგროვება ხდება ორი ადმინისტრაციული მონაცემთა ნაკრების, საქართველოს სტატისტიკის სამსახურის (GEOSTAT) შრომის ბაზრის კვლევისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინდიკატორების გამოყენებით ჩატარებული კვლევების საფუძველზე. ორივე მათგანი იძლევა მნიშვნელოვან მონაცემებს ისეთი ინდიკატორების შესახებ, როგორიცაა პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების რაოდენობა, სასწავლებელში ჩარიცხვისა და სწავლის დამთავრების რაოდენობა, პროფესიული განათლების მიღწევა, პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა უმუშევრობის რაოდენობა უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულებთან შედარებით და სხვა სფეროები.

ხარისხის უზრუნველყოფა და საკვალიფიკაციო ციკლი

ზოგადი განათლების კვალიფიკაცია ემყარება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას, რაც სავალდებულოა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე. თავად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები შემუშავებულია პროფესიის სტანდარტების საფუძველზე, განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის წესების, პროცედურებისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად[4]. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი შეიძლება გამოყენებული იყოს ერთი ან მეტი კვალიფიკაციის განსასაზღვრად. პროფესიული საგანამანათლებლო სტანდარტი შემუშავდება შესაბამისი სფეროს წარმომადგენლების ჩართულობით და დარგობრივი საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში მტკიცდება განათლების ხარისხის საგნობრივი პროგრამები მოდულური, კომპეტენციებზე დაფუძნებული პროფესიული პროგრამებით, ასე რომ, 2019 წლიდან ნებისმიერი ახალი სტუდენტი, რომელიც ჩაერთვება პროფესიულ განათლებაში, გაივლის მოდულურ პროგრამას. მოდულური პროგრამების დანიშნულებაა არა მხოლოდ სახელობო/პროფესიული უნარების განვითარება, არამედ ისეთი ძირითადი უნარებისაც, როგორიცაა წიგნიერება, მათემატიკური უნარ-ჩვევები, და სხვა, ასევე მეწარმეობა, უცხოურ ენებზე კომუნიკაციის უნარი, ციფრული კომპეტენციები, და სხვა. ზოგად საშუალო განათლებასთან ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ასახავს ზოგად მოდულებთან ინტეგრირებულ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

ახალი მოდულური პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოიყენება კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასებები. თითოეული მოდული ემყარება სწავლის შედეგებს და მოიცავს შესრულების/შეფასების კრიტერიუმებს და მტკიცებულების მოთხოვნებს[5]. შეფასება, შესაბამისი პროფესიული სტანდარტის საფუძველზე, უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების სტანდარტის მოთხოვნებს.

2017-2018 წლებში, ეროვნულმა ხელისუფლებამ უზრუნველყო ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სერიოზული გადახედვა ზოგადი განათლების, პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების ქვესისტემებს შორის უკეთესი კავშირების დასამყარებლად და ჩარჩოს საერთაშორისო დონეზე უკეთესად შესადარებლად. შედეგად, 2018 წელს განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონში მიღებულ იქნა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან დაკავშირებული ცვლილებები, რომელიც ადგენს ახალი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) მთავარ მიზნებსა და პრინციპებს. 2019 წელს მიღებული იქნა განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო.

განახლებული ჩარჩო მოიცავს რვა დონის ერთიან სტრუქტურას, რომელშიც დონის აღმწერი კატეგორიებია: „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“, „პასუხისმგებლობა და ავტონომია“, რომელიც შეესაბამება ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოში მოცემულ კატეგორიებს.

ხარისხის უზრუნველყოფა და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტუციები

ხარისხის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა

---

[4] “პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2016 წლის 4 აგვისტოს N733 ბრძანება

[5]

მექანიზმები შექმნილია და ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებზე პასუხისმგებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის უზრუნველსაყოფად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შექმნა ექსპერტთა კორპუსები. **პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური** ატარებს ინტენსიურ ტრენინგებს ამ კორპუსებისთვის, აკონტროლებს მათ მუშაობას, აფასებს მათ საქმიანობას და პერიოდულად განაახლებს მათ შემადგენლობას.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო განიხილავს ექსპერტების შეფასების დასკვნებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, აკმაყოფილებს თუ არა დაწესებულებების პროგრამები, ინფრასტრუქტურა და რესურსები ავტორიზაციის სტანდარტებს.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიულ საგანმანათლებლო **დაწესებულებებს** აძლევს **რეკომენდაციებს, აწვდის სახელმძღვანელოებს, გზამკვლევებს და უტარებს ტრენინგებს. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კონსულტაციას უწევს** იმ ორგანიზაციებს, რომლებიც აპირებენ მიიღონ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

ხარისხის უზრუნველყოფა და პროფესიული განათლების მასწავლებლების/ტრენერების საკვალიფიკაციო სტანდარტები და უწყვეტი პროფესიული განვითარება (CPD)

იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სწავლება მუდმივად უნდა შეესაბამებოდეს კერძო სექტორის ცვალებად მოთხოვნებს უნარებზე, სამინისტრომ შეიმუშავა და ჩაატარა სამუშაო ადგილზე გადასამზადებელი მრავალი პროგრამა პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, მაგალითად, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და პედაგოგიური უნარ-ჩვევები. პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის განკუთვნილი სატრენინგო მოდელი და მათი პროფესიული განვითარება იცვლება, რომ ითვალისწინებდეს პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის კოდექსს (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2019).

3. ძლიერი მხარეები, მოვლენები და საჭიროებები

3.1. ახალი მოვლენები - მოქმედი/დამუშავების პროცესში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანების შესაბამისად, დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები. ახალი სტანდარტები აფასებს

საგანმანათლებლო პროცესის ყველა კომპონენტს ერთიანი, მოწესრიგებული მექანიზმით და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საგანმანათლებლო პროცესში დაინტერესებული მხარეების სრული ჩართულობის უზრუნველყოფას. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ხელმისაწვდომი იყო სხვადასხვა სახის ტექნიკური დახმარების ინიციატივა, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შემდეგნაირი ჩართულობა: ავტორიზაციის ექსპერტთა პროფილების შექმნა; შერჩევის მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების შექმნა; ექსპერტთა შეფასების სქემებისა და მეთოდოლოგიების შემუშავება; ექსპერტის სერტიფიცირების ცნებები; და ახალ ექსპერტთა კორპუსის შერჩევა. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოამზადა სახელმძღვანელო პროგრამების შესრულების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ, რაც უშუალოდ უზრუნველყოფს მხარდაჭერას პროცესის განმავლობაში. საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგები შეფასების სისტემის შემოწმებისა და განვითარების შეფასების დანერგვის შესახებ. არსებული რეგულაციების თანახმად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 85 დაწესებულებამ წარუდგინა თვითშეფასების ანგარიშები. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველსაყოფად პროვაიდერების შესაძლებლობების გასაზრდელად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა (სსიპ) ჩაატარა გადასამზადებელი სემინარები, რომელსაც ესწრებოდა 50 მომწოდებლიდან 100-ზე მეტი ადამიანი. ცენტრმა ასევე ჩაატარა ორგანიზაციებში მონიტორინგის ვიზიტები.

3.2.საჭიროებები და გამოწვევები

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება;
- დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურების შესაძლებლობების გაუმჯობესება.

4. კარგი გამოცდილების მაგალითი

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო გამოცდილებად ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში. თითოეული სტანდარტი (ხუთი სტანდარტი) ემყარება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს (დემინგის ციკლი) და მოიცავს ციკლის ყველა საფეხურს (დაგეგმვა-დანერგვა-შეფასება-მიმოხილვა). ეს სტანდარტები უზრუნველყოფს გარე შეფასების ხარისხს, ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა ხარისხს.
- გარე და შიდა ხარისხის პროცესების უზრუნველსაყოფად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შეიმუშავა ავტორიზაციის სტანდარტების დეტალური სახელმძღვანელო და მასთან დაკავშირებული პლაკატები, რომლებიც გამოქვეყნებულია ცენტრის ვებ-გვერდზე და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან.
- ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი მიღწევაა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ექსპერტების სერტიფიცირება. გამოცხადდა კონკურსი, კანდიდატები შეირჩნენ და გადამზადდნენ და სისტემამ შეიძინა 40 სერტიფიცირებული

ექსპერტი საბოლოო სიმულაციური ინტერვიუს საფუძველზე, რაც შესაძლებელს გახდის გარეგანი შეფასების მექანიზმების უკეთ დანერგვას.

შემოკლებების სია

CPD	უწყვეტი პროფესიული განვითარება
CVET	უწყვეტი პროფესიული განათლება და გადამზადება
EQAVET	ევროპული ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებასა და გადამზადებაში
ESA	დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო
ETF	გადამზადების ევროპული ფონდი
EU	ევროპის კავშირი
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
GEOSTAT	საქართველოს სტატისტიკის სამსახური
ICT	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
ISCED	განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია
IVET	დაწყებითი პროფესიული განათლება და გადამზადება
MESCS	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
NAEC	გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი
NCEQE	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NQF	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო
PSD	კერძო სექტორის განვითარება
TVET	ტექნიკური პროფესიული განათლება და გადამზადება
VET	პროფესიული განათლება და გადამზადება